




გაერთიანებული ერების სურსათისა და
სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

AGRIS, სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო სისტემა

მომხმარებლის გზამკვლევი



აბრევიატურები და აკრონიმები

AGRIS: სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო სისტემა

AIMS: FAO-ს აგროინფორმაციის მართვის სტანდარტების პორტალი

LOD: ურთიერთდაკავშირებული ღია მონაცემები

M2B: მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული მეტამონაცემები

OAI-PMH: მეტამონაცემების შეგროვების ღია არქივების ინიციატივის პროტოკოლი

ODS: ღია მონაცემთა ნაკრები

RDF: რესურსების აღწერის ჩარჩო

SDGs: მდგრადი განვითარების მიზნები

URI: რესურსების ერთიანი იდენტიფიკატორი

XML: მარკირების გაფართოებული ენა

სარჩევი

აბრევიატურები და აკრონიმები	ii
რეზიუმე	iii
ძირითადი გზავნილები	1
1. AGRIS-ის შესახებ	2
2. AGRIS-ის საძიებო ინტერფეისი	4
2.1. მარტივი ძიება	6
2.2. შეკვეცა და მეტასიმბოლოები	8
2.3. გაფართოებული ძიება	9
2.4. ლოგიკური ოპერატორები	10
2.5. AGRIS-ის გაფილტვრის ვარიანტები	11
2.5.1. გაფილტვრა სრული ტექსტის მიხედვით	11
2.5.2. გაფილტვრა ძიების ტიპის მიხედვით	11
2.5.3. გაფილტვრა გამოქვეყნების თარიღის მიხედვით	12
2.5.4. გაფილტვრა ენის მიხედვით	12
2.5.5. გაფილტვრა შინაარსის ტიპის მიხედვით	13
2.5.6. გაფილტვრა მრავალენოვანი პრინციპის მიხედვით	13
2.5.7. გაფილტვრა შინაარსის სხვა აგრეგატორების მიხედვით	13
2.6. შედეგი დეტალურად	14
2.7. დათვალიერება და ძიება AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლების მიხედვით	15
3. წვლილის შეტანა AGRIS-ში	16
3.1. AGRIS -ის ქსელი	17
3.2. AGRIS-ში გაწევრიანება	18
3.2.1. დაშვების კრიტერიუმები	18
3.2.2. AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლად დარეგისტრირება	18
3.2.3. AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლების ინსტიტუციურ ქვეპორტალზე დარეგისტრირება	20
3.3. რესურსების შერჩევის კრიტერიუმები AGRIS-ში	22
3.3.1. დასაშვები სფეროები	22
3.3.2. დასაშვები დოკუმენტების კატეგორიები	22
3.3.3. შეუსაბამო დოკუმენტების კატეგორიები	22
3.3.4. ჟურნალების შერჩევის სპეციფიკური კრიტერიუმები	22
3.4. მეტამონაცემების წარდგენა AGRIS-ში	23
3.4.1. მეტამონაცემების მინიმალური მოთხოვნები	23
3.4.2. მონაცემთა შეგროვება და ექსპორტი	23
3.5. AGRIS-ში მონაცემთა დამუშავების ნაკადი	25
4. AGRIS-ის მონაცემების ხელახალი გამოყენება სხვა საინფორმაციო სისტემებში	26
5. დამატებითი რესურსები AGRIS-ის შესახებ	28

რეზიუმე

სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და პოლიტიკის შემქმნელები საჭიროებენ აქტუალური და დროული სამეცნიერო ინფორმაციის ფლობას სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის დაგროვების, კვლევითი პოტენციალის განსაზღვრის და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ხსენებულ მომხმარებლებს სთავაზობს შესაბამისი სამეცნიერო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ონლაინპლატფორმების გამოყენებით, როგორცაა სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო სისტემა AGRIS-ი.

AGRIS-ი წარმოადგენს მსოფლიოში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ მონაცემთა ბაზას. ვებპორტალის საშუალებით მილიონობით ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი 90 სხვადასხვა ენაზე უფასოდ არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი მომხმარებლისთვის. მონაცემების მიმწოდებელთა საერთაშორისო ქსელს ქმნიან გამომცემლობები, მთავრობები და ორგანიზაციები, რომლებიც ნებაყოფლობით აწვდიან ინფორმაციას (მეტამონაცემებს) სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ. ეს ჩანაწერები მოცემულია მრავალენოვან ფორმატში და უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს ბმულებს სრულ ტექსტებთან, რომ მომხმარებელი გაეცნოს სამეცნიერო ლიტერატურას მთელ მსოფლიოში.

რუხი ლიტერატურა, ჟურნალების სტატიები და ტექნიკური ანგარიშები შესაძლებელია საკმარისად არ იქნეს გამოყენებული, ან შეიძლება დაიკარგოს კიდეც, თუ არა ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთ რესურსებზე ფართო ხელმისაწვდომობას, ურთიერთშეთავსებასა და მათ მრავალჯერად გამოყენებას.

სამეცნიერო ლიტერატურის და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მონაცემთა დიდ კოლექციაში განთავსებით AGRIS-ი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კვლევის შესახებ ინფორმაციაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობას. რადგანაც, ყველა ჩანაწერი/ მონაცემი არის აგრეთვე Google Scholar საძიებო სისტემის მიერ ინდექსირებული, AGRIS-ში მონაწილეობა ზრდის ადგილობრივად შეტანილ მონაცემთა ხილვადობას (რეცენზირებული) ცოდნის გავრცელების ფარგლების მიღმა.

მრავალენოვანი თეზაურუსი AGROVOC-ი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საყრდენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის შესაქმნელად. თუმცა გლობალურად განაწილებული საინფორმაციო სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სრულიად ხელმისაწვდომი, თუ ყველა მონაწილე გამოიყენებს გარკვეულ სტანდარტებს, მათ შორის, დაშვებული ენის და ტერმინოლოგიის ჩათვლით. AGROVOC-ი ხელს უწყობს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთო ლექსიკის გავრცელებას მსოფლიოში და, ამჟამად, მომხმარებლებს საშუალებას აძლევს იმუშაონ 38000-ზე მეტი შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ცნებით 40 ენაზე. შესაბამისად, AGROVOC-ი საშუალებას აძლევს AGRIS-ს გადალახოს ტექნიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ენობრივი საზღვრები.

ბოლო წლების განმავლობაში, მთელ მსოფლიოში AGRIS-ი აღიარებულია, როგორც საინფორმაციო რესურსი, გადავიდა რა ქალაქიდან ციფრულ ფორმატზე, ცენტრალიზებული მოდელიდან განაწილებულ ქსელზე.

წინამდებარე გზამკვლევი მიზნად ისახავს AGRIS-ის საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია უახლესი ტექნიკური მოვლენების, რეკომენდებული სტანდარტებისა და AGRIS-თან ურთიერთობის სხვადასხვა მეთოდის შესახებ.

ძირითადი გზავნილები

AGRIS-ი უზრუნველყოფს უფასო წვდომას 12 მილიონზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერზე, მათ შორის 1 500-ზე მეტ მონაცემთა ნაკრებზე.

AGRIS-ის ჩანაწერები ხელმისაწვდომია 90-ზე მეტ ენაზე.

AGRIS-ის ჩანაწერები ძირითადად ემყარება მრავალენოვან თეზაურუსს AGROVOC, რომელიც მოიცავს FAO-ს საქმიანობის ყველა სფეროს.

„**AGRIS-ი** არის სერვისი, რომელიც საშუალებას იძლევა სურსათისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების შესახებ მსოფლიოში გავრცელებული ინფორმაცია მიაწოდოს ბელარუსის მეცნიერებს, სპეციალისტებსა და პრაქტიკოსებს. ამავდროულად, AGRIS-ი არის სერვისი, რომელსაც შეუძლია ბელარუსის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, სურსათისა და ბუნებრივი რესურსების მეცნიერების ცოდნა მიაწოდოს მსოფლიო საინფორმაციო სივრცეს.”

ვერანიკა ბაბარიკა-ამელჩანკა, ბელარუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის ბიბლიოთეკა.

1. AGRIS-ის შესახებ

AGRIS-ი შედგება სამი ელემენტისგან - ქსელის, მონაცემთა ბაზისა და ვებპორტალისგან. AGRIS-ის ქსელი მოიცავს 450-მდე ინსტიტუტისა და 150 ქვეყნის შენატანს. AGRIS-ი ასევე არის მონაცემთა ბაზა, რომელშიც მილიონობით სტრუქტურირებული ბიბლიოგრაფიული ჩანაწერია განთავსებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების შესახებ. დაბოლოს, AGRIS-ი არის ვებპორტალი, რომელიც AGRIS-ის ცოდნას უკავშირებს შესაბამის ვებრესურსებს. AGRIS-ის მიზანია უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სფეროს სამეცნიერო კვლევითი ინფორმაციის მიწოდება და მონაცემთა მიმწოდებლებისგან FAO-ს ყველა ინტერესის სფეროსთან დაკავშირებული მასალის მიღება. AGRIS-ს იყენებს ნებისმიერი, ვინც დაინტერესებულია ამგვარი ლიტერატურით, მათ შორის სტუდენტები, მეცნიერები, ბიბლიოთეკარები, მკვლევარები, გამომცემლები და დარგის პოლიტიკის შემქნელები და სხვ.

AGRIS-ს მომხმარებლები

- მთავრობის წარმომადგენლები
- უმაღლესდამთავრებულები
- ლექტორები
- ბიბლიოთეკარები და საინფორმაციო სფეროს სხვა პროფესიონალები
- სოფლის მეურნეობის სფეროს პრაქტიკოსები
- პროფესიული გაერთიანებები
- გამომცემლები
- მკვლევარები

AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლები

- აკადემიური ინსტიტუტები
- განვითარების პროგრამები
- საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები
- სახელმწიფო ორგანოები
- ბიბლიოთეკები
- გამომცემლობები
- კვლევითი ცენტრები

შინაარსის ტიპი

წიგნები
საკონფერენციო მასალები
მონაცემთა ნაკრები
ჟურნალის სტატიები
სამეცნიერო და ტექნიკური პროექტები
ტექნიკური ანგარიშები
დისერტაციები


AGRIS-ი მოიცავს შემდეგ სფეროებს

სოფლის მეურნეობა
მეცხოველეობა
ბიოტექნოლოგია
გარემოს დაცვა
თევზჭერა და წყლის მეცნიერება
სურსათი
კვების ტექნოლოგია
სურსათის ტოქსიკოლოგია
მეტყვეობა
მცენარეთა დაცვა
ვეტერინარია

2. **AGRIS**-ის საძიებო ინტერფეისი

ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია AGRIS-ში შესვლა ამ მისამართზე agris.fao.org. AGRIS-ი ხელს უწყობს ცოდნისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას წიგნების, ჟურნალების სტატიების, მონოგრაფიების, წიგნის ცალკეული თავების, მონაცემთა ნაკრების და რუხი ლიტერატურის, მათ შორის გამოუქვეყნებული სამეცნიერო და ტექნიკური მოხსენებების, სამეცნიერო შრომების, დისერტაციების და საკონფერენციო მასალის ინდექსირების გზით.

AGRIS-ი ახდენს ბიბლიოგრაფიული მონაცემების ინდექსირებას, მაგრამ არ ინახავს სტატიების სრულ ტექსტებს. 2010 წლამდე წარდგენილ რესურსებს შეიძლება არ ჰქონდეთ ბმული სრულ ტექსტებზე. ჩანაწერებისთვის, რომლებიც არ შეიცავენ ბმულებს სრულ ტექსტებზე, რეკომენდებულია, მომხმარებელი პირდაპირ დაუკავშირდეს მონაცემთა მიმწოდებელს რესურსის ელექტრონული ასლის მოთხოვნით.



სურათი 1
AGRIS-ის მთავარი გვერდი

AGRIS-ის საძიებო ინტერფეისი ხელმისაწვდომია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, არაბულ, ჩინურ და რუსულ ენებზე.

AGRIS-ის მთავარი გვერდის ცენტრში ხელმისაწვდომია ზოგადი ინფორმაცია მონაცემთა ბაზის შესახებ: ჩანაწერების რაოდენობა, მონაცემთა ნაკრების რაოდენობა და მონაცემთა მიმწოდებლების რაოდენობა.

AGRIS-ი გვთავაზობს ინფორმაციის ძიების რამდენიმე ვარიანტს:

- მარტივი ძიება - საკვანძო სიტყვების და ფრაზების გამოყენებით
- შეკვეცა და მეტასიმბოლოები
- გაფართოებული ძიება - ლოგიკური ოპერატორების გამოყენებით
- ძიების შედეგების გაფილტვრა
- დათვალირება


2.1 მარტივი ძიება

AGRIS-ში ძიება ძალიან მარტივია. ძიების დასაწყებად მომხმარებელს შეუძლია საძიებო ველში აკრიფოს ნებისმიერი საკვანძო სიტყვა, რომელიც ეხება თემას, ავტორის სახელს ან სათაურს. როგორც კი მომხმარებელი აკრეფს შერჩეულ სიტყვას საძიებო ველში, გამოჩნდება სისტემის მიერ შემოთავაზებული ასარჩევი ტერმინები. AGRIS-ის საძიებო სისტემა გააქტიურებულია, თუ მომხმარებელი

დააწკაპუნებს „Search” ლილაკზე ან დააჭერს „Enter”-ს კლავიატურაზე. შედეგად ნაჩვენები იქნება მოძიებულ ტერმინებთან დაკავშირებული გვერდები. ძიება AGRIS-ში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საკვანძო სიტყვების შესაბამისად: AGROVOC-ის ტერმინები, ავტორი, კონფერენცია, ავტორთა ჯგუფი, ISBN, ISSN, ჟურნალის დასახელება, გამომცემელი ან სათაური.

The screenshot displays the AGRIS (Agriculture Information Retrieval System) search interface. At the top, the Food and Agriculture Organization of the United Nations logo and the AGRIS name are visible. The search bar contains the term 'coconut'. Below the search bar, there are filters for 'Content types' (Bibliography, Book, Conference, Dataset, Journal Article, Thesis, Other) and 'Filters' (Filter records that contain explicit links to the full text: Enable, Disable). The search results are displayed in a list format, showing the title, author, and a brief description of the document. The first result is 'Global trends and new opportunities for the coconut industry' by Arancón, Jr., R. N., et al. The second result is 'Farming system based on coconut' by Taigam, D. D., et al.

სურათი 2
AGRIS-ში ძიების
შედეგის ნიმუში



სურათი 3
AGRIS-ში ინდივიდუალური
ძიების შედეგი

ძიების შედეგის გვერდი აჩვენებს ძიების პირველად შედეგებს გვერდის მთავარ სვეტში, როგორც ნაჩვენებია სურათზე 2. შედეგების ნახვის თანმიმდევრობა შეიძლება განისაზღვროს დადგენილი ან აღმავალი ჩამოსაშლელი მენიუს პარამეტრის გამოყენებით ან წარდგენის წლის მიხედვით, რომელიც განლაგებულია შედეგების სიის ზედა მარჯვენა მხარეს. აქ „შესაბამისობა“ გულისხმობს გამოყენებული საძიებო მოთხოვნების ტერმინებსა და ფილტრებს, ხოლო „წარდგენის წელი“ ნიშნავს AGRIS-ში მონაცემთა რეგისტრაციის ან ინფორმაციის მიწოდების თარიღს.

ათი შედეგი თითოეულ გვერდზე ნაჩვენებია გამოსახულებასთან (icon) ერთად, რომელიც ასახავს ინდექსირებული ლიტერატურის სახეობას. იხილეთ სურათი 2. თითოეული შედეგი გულისხმობს წინასწარ დათვალიერებას, რომელიც მოიცავს სათაურს, ავტორს, გამოცემის წელს, მონაცემთა მიმწოდებელს და/ან საგანს. შედეგი შეიძლება ასევე მოიცავდეს რეზიუმეს და მიუთითებს, თუ სრული ტექსტი ხელმისაწვდომია.

ინდივიდუალური ძიების არჩევის შედეგად ეკრანზე გამოჩნდება წინასწარი დათვალიერებიდან მიღებული ინფორმაცია დამატებითი მეტამონაცემებით. ინდივიდუალური ძიების შედეგი ნაჩვენებია სურათზე 3 და შეირჩევა ძიების შედეგების

სიიდან სათაურის ლურჯ ჰიპერბმულზე დაჭერით.

არსებობს რამდენიმე დამატებითი ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებელს ეხმარება გაფილტვოს და დათვალიეროს ყველაზე შესაბამისი შედეგი. მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ეს თვისებები ძიების სხვადასხვა ეტაპზე: საწყისი გვერდიდან, შედეგების სიიდან ან ინდივიდუალური ჩანაწერის გვერდიდან.

AGRIS-ი ასევე მრავალენოვანი ძიების საშუალებას იძლევა. საწყისი გვერდიდან შესაძლებელია „ენის არჩევა“, როგორც დამატებითი ბრძანება „ძიება“ მთავარ ველში. სისტემის გამოყენების გამარტივების მიზნით მთავარ გვერდზე ჩამოსაშლელ მენიუში ხელმისაწვდომი ენების რაოდენობა შეზღუდულია; მიუხედავად ამისა, მომხმარებელს შეუძლია 90-მდე ენაზე მოიძიოს ინფორმაცია ველიდან „ძიება“. ნებისმიერ ენაზე საკვანძო სიტყვების აკრეფით ძიება არის ყველაზე ზუსტი მეთოდი იმის გასარკვევად, თუ რა არის ხელმისაწვდომი კონკრეტულ ენაზე; შედეგების გვერდი და ძიების გაფართოებული შესაძლებლობები ასევე მოიცავს მრავალენოვან ფუნქციას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ AGRIS-ში მრავალი შედეგი ინდექსირებულია ინგლისური ენის გამოყენებით, როცა ორიგინალი ნაშრომი შეიძლება დაწერილი იყოს სხვადასხვა ენაზე.

რეკომენდებულია საძიებო სტრატეგიის დახვეწა AGRIS-ში შესაბამისი შინაარსის მოსაძებნად, მაგალითად:

- 1. საკვლევი თემის განსაზღვრა, მაგალითად:**
„საკვები დანამატების გამოყენება ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობის გასაზრდელად“.
- 2. საკვლევი თემის საძიებო ცნებების იდენტიფიცირება.** მაგალითად, საკვანძო სიტყვებით: Apis mellifera; ფუტკრის ოჯახი; საკვები დანამატი; ფუტკრის კვება; ან ფრაზებით: „დანამატები ფუტკრის საკვებში“.
- 3. მარტივი ძიების შესრულება.** საძიებო ველში შეიყვანეთ საკვანძო სიტყვა ან ფრაზა და დააჭირეთ ღილაკს გვერდის მარჯვენა მხარეს. რეკომენდებულია ძიების სწორი, მკაფიო და ზუსტი სტრუქტურირება კვლევის თემის შესაბამისად.
- 4. ძიების შედეგების ანალიზი და გამოყენებული სტრატეგიის საჭირო შესწორებების შეტანა.** ძიების ეფექტურ სტრატეგიაში უნდა იყოს ნაჩვენები მხოლოდ ის შედეგები, რომლებიც ემთხვევა განსაზღვრულ ძიებას, შეიცავს სპეციფიკურ ცნებებს, რომელსაც მომხმარებელი ეძებს.

მნიშვნელოვანია: უფრო ზუსტი ძიების შესასრულებლად გამოიყენეთ AGROVOC-ს ტერმინები.

მნიშვნელოვანია: ზუსტი ცნების მოსაძიებლად ჩასვით ის ორმაგ ბრჭყალში

AGRIS-ის სისტემა წარმოაჩენს შესაბამის დოკუმენტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საძიებო ტერმინები იდენტიფიცირებულია დოკუმენტის ინდექსირებისას, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი არსებობენ მოძიებულ დოკუმენტებში. თუ ძიება დაიწყება არასრულად შევსებული კრიტერიუმებით, ან თუ მონაცემთა ბაზაში არ არის რესურსი, რომელიც შეიცავს ძიების ცნებას, AGRIS-ი გაცნობებთ, რომ, მაგალითად: „შედეგი არ არის“. საძიებო ინტერფეისი მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეზღუდოს ძიება ენისა და რესურსის ტიპის შესაბამისად.

2.2 შეკვეცა და მეტასიმბოლოები

სიტყვის შესაკვეცად მომხმარებელმა უნდა წაშალოს სიტყვის დაბოლოება და დატოვოს მხოლოდ ფუძე, დაბოლოება კი უნდა შეცვალოს მეტასიმბოლოთი, მაგ. ვარსკვლავით (*).

მაგალითი: თუ მომხმარებელს სურს მოძებნოს ტერმინები „მებაღეობა“ და „სამებაღეო“, ფუძე იქნება „მებაღეობა“, ხოლო საძიებო ტერმინი იქნება: მებაღეობა.

შეკვეცა
გამოიყენება, როდესაც მომხმარებელს სურს იპოვნოს ერთი და იგივე სიტყვის ორთოგრაფიის ვარიანტები

„AGRIS-ი მეტად სასარგებლოა სოფლის მეურნეობით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდებისათვის, რადგანაც ის უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას ამ სისტემაში განთავსებული კვლევების მდიდარ კოლექციაზე. ეს კი თავისთავად ურთიერთთანამშრომლობის, პრობლემების გაანალიზებისა და აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებაა“.

მარინა რაზმაძე, ტექინფორმი (საქართველო)

2.3 გაფართოებული ძიება

გაფართოებული ძიება შესაძლებელია შედეგების გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში ბმულით „დაიწყეთ გაფართოებული ძიება“. ეს გვერდი მოიცავს AGRIS-ის ძიების ყველა ადრე ჩამოთვლილ მახასიათებელს და ვარიანტს, მაგრამ ის შედეგების მთავარ გვერდზე სხვაგვარად არის ორგანიზებული. მაგალითად, როგორც ნაჩვენებია სურათზე 4, გაფართოებული ძიების გვერდზე შედეგები ახლა მარცხნივაა, ხოლო ფილტრები ან შემდგომი ძიების პარამეტრები - მარჯვნივ. ინდივიდუალური შედეგების წინასწარ დათვალიერება შესაძლებელია თითოეული შედეგის ველში მწვანე ისარზე დაჭკაპუნებით.

გაფართოებული ძიების უპირატესობებს წარმოადგენს ჩანაწერების ექსპორტის

შესაძლებლობა ან ხელმისაწვდომობა სრული ტექსტის ბმულებზე (არსებობის შემთხვევაში) და არ საჭიროებს თითოეული ჩანაწერის დათვალიერებას ცალკე ეკრანზე. თითო გვერდზე ათი ჩანაწერია.

ახალი საძიებო ტერმინებით და ფილტრებით ძიების პროცესის ხელახლა დასაწყებად ან მონაცემთა ბაზის მთავარ გვერდზე დასაბრუნებლად, მომხმარებელს შეუძლია დააჭიროს AGRIS-ის დასახელებას ეკრანის ზედა ნაწილში ან სახლის პიკტოგრამის გამოსახულებას მარჯვენა კუთხეში. გაფართოებული ძიების გამოყენების გასაგრძელებლად მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს „თქვენი ძიების გადატვირთვა“.

სურათი 4
ინდივიდუალური
ძიების შედეგი
AGRIS-ში

ისრები ხსნიან ჩანაწერებს იმავე ეკრანზე, როგორიცაა მაგალითად ძიების პარამეტრები, მათ შორის XML ჩანაწერების შენახვის ვარიანტები


შენახვა როგორც ორიგინალური ტერმინის ბაზაზე გამოყენებული დამატებითი ძიების ვარიანტები

2.4 ლოგიკური ოპერატორები

მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ლოგიკური ოპერატორები პირდაპირ სამიუბო ველში უფრო ზუსტი კითხვების ჩამოსაყალიბებლად ან სამიუბო სტრატეგიის დასახვეწად (მიუბის განსაზღვრა, შეზღუდვა ან გაფართოება). ლოგიკური მიუბა აერთიანებს სიტყვებს და ფრაზებს AND, OR, NOT გამოყენებით.


„AND” ოპერატორი ლოგიკური ოპერატორია, გადაკვეთის ის წერტილია, რომელიც საშუალებას აძლევს AGRIS-ს დააკავშიროს და გააერთიანოს ორი ან მეტი ტერმინი. AND ოპერატორი ზღუდავს მიუბას და დაყავს ჩანაწერების რაოდენობა მინიმუმადე, ვიდრე ეს ცალკეული ტერმინის მიუბის შემთხვევაში მოხდებოდა.

AGRIS-ი ირჩევს ჩანაწერებს, რომლებშიც ნახსენებია ყველა ტერმინი და გამოირიცხავს მათ, რომლებიც ცალკეულ ტერმინებს შეიცავს. იხილეთ სურათი 5.



სურათი 5
ლოგიკური მიუბა
„AND” ოპერატორის
მაგალითზე


შედეგები ორივე
პირობით



სურათი 6
ლოგიკური მიუბა
OR ოპერატორის
მაგალითზე

შედეგები ორივე
პირობით
(მაქსიმალური შედეგი)

NOT ოპერატორი არის ლოგიკური ოპერატორი, რომელიც ზღუდავს მიუბას ისე, რომ AGRIS-ს შეუძლია დააბრუნოს პირველი კრიტერიუმის შესაბამისი შედეგები გარდა იმ შედეგებისა, რომელშიც გამოჩნდება მეორე სამიუბო ტერმინი. იხილეთ სურათი 7.



შედეგები ერთი
პირობით
(შედეგები გამოკლებით)

სურათი 7
ლოგიკური მიუბა NOT
ოპერატორის მაგალითზე

2.5 AGRIS-ის გაფილტვრის ვარიანტები

იმის მიხედვით, რომელი თემა აინტერესებს მომხმარებელს, მას შეუძლია დაზოგოს ძიების დრო კონკრეტული ფილტრების გამოყენებით ძიების დასახვეწად. შედეგების რაოდენობის შესამცირებლად რეკომენდებულია ძიების შედეგების გაფილტვრა და პერსონალიზაცია, რათა ზუსტად მოიძებნოს ის, რაც მომხმარებელს სურს. AGRIS-ის გაფართოებული ძიების გვერდის მარჯვენა მხარეს გაფილტვრის რამდენიმე ვარიანტია, იხილეთ სურათი 8.

2.5.1. გაფილტვრა სრული ტექსტის მიხედვით

ზოგიერთ შემთხვევაში, AGRIS-ი უზრუნველყოფს დოკუმენტების ვებმისამართებზე (URL-ზე)

წვდომას. ძიების დროს მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ვარიანტი „გაფილტვრე ჩანაწერები, რომლებიც შეიცავს ბმულებს სრულ ტექსტებთან“, მხოლოდ იმ ჩანაწერების ასარჩევად, რომლებსაც მივყავართ სრულ ტექსტთან. AGRIS-ის 12 მილიონი ჩანაწერიდან დაახლოებით 1.3 მილიონი უზრუნველყოფს წვდომას სრულ ტექსტზე.

2.5.2. გაფილტვრა ძიების ტიპის მიხედვით

შესაძლებელია „ძიების შედეგების ტიპი“-ს ვარიანტის გამოყენება, როდესაც მომხმარებელს სურს აირჩიოს მხოლოდ პუბლიკაციები ან მონაცემთა ნაკრები.

Apply the following filters to your query:

Filter records that contain explicit links to the full text	Refine search
Type of search results ☒ Publications ☐ Datasets ☐ Both	Refine search
Filter records published in the year/range -- from -- -- to --	Refine search
Data Providers -- Country (Center) --	Refine search
Search for records in the following language -- Select a language --	Refine search
Content types -- type --	Refine search
Multilingual search ☐ Enable ☒ Disable	Refine search
Include records from aggregators ☐ Enable ☒ Disable	Refine search

სურათი 8
გაფილტვრის
პარამეტრები AGRIS-ის
ძიების შედეგების
გვერდზე

სურათი 9
გაფართოებული ძიების
შედეგების გვერდი

სურათი 10
ენის მიხედვით გაფილტრული
ძიების შედეგები

2.5.3. გაფილტვრა გამოქვეყნების თარიღის მიხედვით

AGRIS-ი მოიცავს პუბლიკაციებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1965 წლით თარიღდება. მაგალითად, „ყურძნის“ თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რეკომენდებულია გამოიყენოთ „ფილტრის ჩანაწერები გამოქვეყნებული წელიწადში/ დიაპაზონში“. მაგალითად, ბოლო ათი წლის

განმავლობაში რედაქტირებული პუბლიკაციების შერჩევა შესაძლებელია ძიების შეზღუდვით მე-9 სურათზე ნაჩვენები ლიაკების დახმარებით.

2.5.4. გაფილტვრა ენის მიხედვით

კონკრეტულ ენაზე პუბლიკაციების მოსაძებნად მომხმარებელმა უნდა აირჩიოს სასურველი ენა ოფციდან „ჩანაწერების ძიება შემდეგ ენაზე“, იხილეთ სურათი 10.

სურათი 11
ძიების შედეგები გაფილტრული
ნაშრომის შინაარსის ტიპის მიხედვით

2.5.5. გაფილტვრა შინაარსის ტიპის მიხედვით

ძიების შედეგების დახვეწის მიზნით, ასევე რეკომენდებულია, რომ მომხმარებელმა აირჩიოს ფილტრის სახით კონკრეტული შინაარსის ტიპი, როგორცაა: წიგნები, თეზისები, ჟურნალის სტატიები, საკონფერენციო მასალები, ცნობარები, იხილეთ სურათი 11.

2.5.6. გაფილტვრა მრავალენოვანი პრინციპის მიხედვით

მრავალენოვანი ძიება არის გაფილტვრის გაფართოებული ვარიანტი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიმართოს AGRIS-ის მონაცემთა ბაზას მშობლიურ ენაზე და ასევე მიიღოს შედეგები სხვადასხვა ენებზე, იხილეთ სურათი 13. ეს ფუნქცია ხელმისაწვდომია კლასიკურ ძიებაში მარცხენა სვეტში, საკვანძო სიტყვების პირველ ათეულამდე.

AGRIS-ი იყენებს AGROVOC-ის მრავალენოვან თეზაურუსს, მომხმარებლის მოთხოვნის ყველა ხელმისაწვდომ ენაზე სათარგმნად. მაგალითად, თუ მომხმარებელმა საძიებო ველში შეიტანა საკვანძო სიტყვა ყურძენი რუმინულ ენაზე,

ჩანაწერებს მხოლოდ რუმინულ ენაზე მიიღებს. თუ შემდეგ მომხმარებელი გააქტიურებს გაფილტვრის ვარიანტს მრავალენოვანი ძიებისთვის, AGRIS-ის სისტემა შეასრულებს მოთხოვნას AGROVOC-ის ხელმისაწვდომ ენებზე და წარმოგიდგენთ საკვანძო სიტყვის ყველა შესაძლო თარგმანის ჩანაწერს. ფილტრის ეს ფუნქცია კარგად მუშაობს, როდესაც ძიება დაფუძნებულია საკვანძო სიტყვებზე. AGROVOC-ის გამოყენებით, AGRIS-ს შეუძლია მიიღოს თითოეული საკვანძო სიტყვის თარგმანი სხვა ენაზე. ამასთან, ის დიდ შედეგებს არ გვთავაზობს, თუ საძიებოდ გამოყენებულია წინადადება, სათაური და ა.შ.

2.5.7. გაფილტვრა შინაარსის სხვა აგრეგატორის მიხედვით

AGRIS-ი ასევე შეიცავს ჩანაწერებს შინაარსის სხვა აგრეგატორებიდან, მაგ. AGRICOLA ან Avano, იხილეთ სურათი 14. სიტყვა „ყურძენი“ ძიებისას, AGRIS-ი იძლევა 12 777 შედეგს. გაფილტვრის ვარიანტის ჩართვისას, აგრეგატორების ჩანაწერების ჩათვლით, შესაძლებელია 29 619 შედეგის მიღება.

სურათი 12
AGRIS-ის შედეგების
გაფილტვრის მრავალენოვანი
ფუნქციის ვარიანტი

სურათი 13
შეიტანეთ ჩანაწერები
აგრეგატორებიდან AGRIS-ის
შედეგების გაფილტვრის
ოფცია

2.6 შედეგი დეტალურად

როგორც ნაჩვენებია მე-14 სურათზე, AGRIS-ის ცალკეული შედეგი შეიცავს სათაურს, ავტორ(ებ)ს, გამოქვეყნების თარიღს, რეფერატს და ინფორმაციას მონაცემთა მიმწოდებლის შესახებ. სათაურის ზემოთ, მონაცემთა მიმწოდებლის სახელი უკავშირდება ვებგვერდს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). AGRIS-ის შედეგების გაზიარების მეთოდები ხელმისაწვდომია როგორც სოციალური ქსელის ან ელ.ფოსტისთვის დაამატე ეს + ოფციების გამოყენებით, ასევე შედეგების შენახვისთვის AGRIS-ის AP, RIS ან Endnote XML ფორმატში. ეს ფორმატები ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას მონაცემების გაცვლის საშუალებას აძლევს. პროგრამებს, როგორიცაა Zotero, Citavi, Mendeley და EndNote, შეუძლიათ ამ ფორმატებში ციტირებების ექსპორტი და იმპორტი.

შენიშვნა: ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია გვაცნობებს, თუ რომელ ენაზეა ინდექსირებული AGRIS-ის ჩანაწერი და არა ენას, რომელზეც დაწერილია თავდაპირველად მითითებული ნაშრომი.

შედეგი ასევე აჩვენებს AGROVOC-ის საკვანძო სიტყვებს ევრანის ქვედა ნაწილში. AGROVOC-ის თითოეული საკვანძო სიტყვა დაკავშირებულია ახალი ძიების შედეგების სიასთან, საკვანძო სიტყვის შესაბამისი დამატებითი ჩანაწერებით.

შერჩეული ჩანაწერიდან ინფორმაციის სათარგმნად AGRIS-ის ინტერფეისი გთავაზობთ ოფციას „თარგმნეთ Google-ით“. შენიშვნა: რადგან თარგმანის ამ ინსტრუმენტს Google უზრუნველყოფს, თარგმანის სისწორესა და სიზუსტეზე FAO არ არის პასუხისმგებელი.

AGRIS-ის თითოეული ჩანაწერი შეიცავს ინფორმაციას მონაცემთა მიმწოდებლის შესახებ

სრული ტექსტის ვარიანტები / ოფციები

სურათი 14
AGRIS-ის
ანოტირებული
ბიბლიოგრაფიული
ჩანაწერი

შემდგომ ძიებასთან
დაკავშირებული საკვანძო
სიტყვები

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის
სოციალურ ქსელებში გაზიარების
და ელ.ფოსტით გაგზავნის
ვარიანტები / ოფციები

XML- ფორმატში
ბიბლიოგრაფიული
ჩანაწერების შენახვის
ვარიანტები / ოფციები

2.7 დათვალიერება და ძიება AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლების მიხედვით

მთავარი გვერდის ქვედა ნაწილში შედის ოფცია „გაფილტვრა მონაცემთა მიმწოდებლების მიხედვით“, რომელიც მომხმარებელს მონაცემთა მიმწოდებლის სხვადასხვა კოლექციაში ნავიგაციის შესაძლებლობას აძლევს. იხილეთ სურათი 15.

მომხმარებელმა ქვეყანა უნდა ამოირჩიოს მარცხენა ჩამოსაშლელი მენიუდან, რომელიც შემდეგ გააქტიურებს მონაცემთა მიმწოდებლის ჩამოსაშლელ მენიუს.

ასევე შეგიძლიათ იხილოთ ანბანის მიხედვით დალაგებული ქვეყნების სია, თითოეული მიმწოდებლის სახელთან მიმხვედრი, ასოცირებული კოლექციითა და საძიებო ველით, იხილეთ სურათი 16.

მონაცემთა მიმწოდებლით ძიების ან გაფილტვრის ოფცია ასევე ხელმისაწვდომია შედეგების გვერდზე, იხილეთ სურათი 17, ან გაფართოებული ძიების გვერდზე, იხილეთ სურათი 18.



სურათი 15
AGRIS-ის მთავარი გვერდი, მონაცემთა მიმწოდებლის ოფცია

შეარჩიეთ ქვეყანა, შემდეგ მონაცემთა მიმწოდებელი




სურათი 17
მონაცემთა მიმწოდებლით გაფილტვრა AGRIS-ის შედეგების გვერდზე

მონაცემების ფილტრაცია მიმწოდებლით



სურათი 16
AGRIS-ის მთავარი გვერდი ქვეყნების ჩამონათვალით

ასევე შეგიძლიათ იხილოთ ქვეყნების ჩამონათვალი ანბანის მიხედვით, თითოეული მიმწოდებლის სახელი ჰიპერბმულით დაკავშირებულია ასოცირებულ კოლექციასთან და საძიებო ველთან.



სურათი 18
შედეგების მონაცემთა მიმწოდებლით გაფილტვრა AGRIS-ის შედეგების გვერდზე

შეარჩიეთ მონაცემთა მიმწოდებლისგან კონკრეტული კოლექცია, ქვეყნის მიხედვით ჩამონათვალი (სრული დასახელება მოცემულია AGRIS-ის მთავარ გვერდზე)

3. წვლილის შეტანა **AGRIS – ში**

AGRIS-ი არსებობს ინსტიტუციების კოლაბორაციული ქსელის მიერ ბიბლიოგრაფიული მონაცემების გაზიარების წყალობით. ეს გლობალური თანამშრომლობა დამოკიდებულია მუდმივ წვლილზე, განსაკუთრებით მრავალენობისა და მიუკერძოებელი წარმომადგენლობის განმტკიცების თვალსაზრისით. AGRIS-ი იღებს ორგანიზაციებს, რომლებიც FAO-ს ინტერესების სფეროებთან დაკავშირებულ მასალებს აქვეყნებენ. მონაცემთა მიმწოდებლის AGRIS-ში გაწვევრიანების უპირატესობა ინდექსირების მეშვეობით მისი სისტემაში გამოჩენაა.

თავად AGRIS-ის ქსელი საკვანძო ფაქტორია იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი, როგორც მონაცემთა ბაზა და ვებპორტალი, აგრძელებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული შესაბამისი მასალის განთავსებას. AGRIS-ის მომხმარებელთა ჩართულობა და შემდგომი თანამშრომლობა ტექნიკურ განვითარებაში ასევე ქმნის ფასდაუდებელ შესაძლებლობას AGRIS-ის პორტალის ახალი ფუნქციების გაძლიერება-განვითარებაში. AGRIS-ს პორტალისა და ცოდნის ბაზის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემთა მიმწოდებლების, დაინტერესებული მხარეებისა და მომხმარებლებისგან მიღებული უკუკავშირი.

3.1 AGRIS-ის ქსელი

AGRIS-ს მხარს უჭერს მონაცემთა მიმწოდებლების საზოგადოება. ინსტიტუციები, მათ შორის კვლევითი ცენტრები, აკადემიური ინსტიტუტები, გამომცემლები, სამთავრობო ორგანოები, განვითარების პროგრამები და საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, AGRIS-ის პლატფორმას ცოდნასა და მონაცემებს უზიარებენ. AGRIS-ისთვის მონაცემთა გაზიარებით, დაბალი

და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ორგანიზაციები როგორც სამეცნიერო ლიტერატურაზე, ისე ინფორმაციის ნაკადსა და ზოგადად ხელმისაწვდომობას ზრდიან სურსათისა და სოფლის მეურნეობის სფეროში. AGRIS-ის ქსელის მონაცემთა მიმწოდებლები არიან აკადემიური საგამომცემლო სახლები, ასოციაციები, სამთავრობო ორგანიზაციები,



სურათი 19
AGRIS-ს ქსელი

საერთაშორისო ორგანიზაციები, ჟურნალები, ბიბლიოთეკები და საინფორმაციო ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სააგენტოები, გამომცემლობები, კვლევითი ინსტიტუტები, სასწავლო ცენტრები და უნივერსიტეტები.

„...სერბეთში ჩვენ ძირითადად ვიყენებთ AGRIS-ს... ჩვენი ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო ინფორმაციის გასაზიარებლად როგორც სრული ტექსტის სახით, ისე მეტამონაცემებით.“
მარინა დიაჩიჩ, მატიაჟა შპრსკა
ბიბლიოთეკა, სერბეთი

AGRIS-ში გაწევრიანება უფასოა. AGRIS-ში შეტანილი წვლილით, მონაცემთა მიმწოდებლებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი უპირატესობით:

- იყენენ დინამიკური საერთაშორისო ქსელის ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებს მოიცავს და ხელმისაწვდომია, ინტენსიურად გამოიყენება და მასიურად ვრცელდება გლობალურ საინფორმაციო სივრცეში;
- ერთობლივი წვლილი შეიტანონ საერთაშორისო მეცნიერებაში;
- ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლა სხვადასხვა ქვეყნებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის და ფართო საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე საკუთარი ხილვადობის გაზრდა;
- უნიკალური მასალების გაზიარება, როგორიცაა გამოუქვეყნებელი სამეცნიერო და ტექნიკური ანგარიშები, სამთავრობო პუბლიკაციები, საკონფერენციო მასალები, მონაცემთა ნაკრებები, რუკები და ა.შ.

3.2 AGRIS-ში გაწევრიანება

3.2.1. დაშვების კრიტერიუმები

პირველი ნაბიჯი იმისათვის, რომ ორგანიზაცია AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებელი გახდეს, დაშვების კრიტერიუმების შემოწმებაა. განმცხადებელი დაწესებულება უნდა მონაწილეობდეს ინფორმაციის ან მონაცემების შექმნასა და გამოქვეყნებაში, აგრეთვე უნდა ფლობდეს მეტამონაცემთა ექსპორტის ტექნიკურ შესაძლებლობებს.

ორგანიზაციას შეუძლია წვლილი შეიტანოს AGRIS-ში, როგორც:

- FAO-ს შესაბამის ინტერესთა სფეროებთან დაკავშირებულმა ეროვნულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ;
- ინსტიტუციურმა საცავმა (ბიბლიოგრაფიული მეტამონაცემების კრებული და სამეცნიერო პუბლიკაციების სრული შინაარსი);
- ინდივიდუალური ან კორპორატიული ჟურნალის გამომცემელმა;
- ან აგრეგატორმა

გაითვალისწინეთ: AGRIS-ი არ იღებს წვლილს ცალკეული ავტორისგან

3.2.2. AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლად დარეგისტრირება

იმისათვის, რომ გახდეთ AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებელი (პროვაიდერი), აუცილებელია შეავსოთ სარეგისტრაციო ფორმა¹.

სავალდებულოა მწვანე ფერის (*) ვარსკვლავით მონიშნული ველების შევსება, ხოლო მოუნიშნავი ველების შევსება არ არის სავალდებულო, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 1.

რეგისტრაციისა და წარმოდგენილი მეტამონაცემთა ხარისხის გადამოწმების შემდეგ, ორგანიზაცია მიიღებს დადასტურებას და AGRIS-ის საიდენტიფიკაციო ნომერს (ID). ეს საიდენტიფიკაციო ნომერი უნდა იქნეს მითითებული, როდესაც დაწესებულება დაუკავშირდება agris@fao.org თხოვნების დამუშავების ხელშესაწყობად.

¹ <http://aims.fao.org/interested-become-agris-data-provider>

ინფორმაცია AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლის (პროვაიდერის) განაცხადზე

ველი	ველის აღწერა
მონაცემთა მიმწოდებლის სახელი*	ორგანიზაციის სახელი, რომელიც ფლობს ან პასუხისმგებელია რესურსებზე, AGRIS-ისთვის გადასაცემ მონაცემებზე. მაგალითად, ჟურნალის შესახებ მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, მიუთითეთ ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ჟურნალის გამოცემაზე და არა თავად ჟურნალის სათაური.
აკრონიმი	ორგანიზაციის მონაცემთა მიმწოდებლის აკრონიმი, საჭიროების შემთხვევაში.
აღწერა*	პასუხისმგებელი ორგანიზაციის მოკლე აღწერა.
მონაცემთა მიმწოდებლის ტიპი*	მონაცემთა მიმწოდებლის ტიპი შეირჩევა სიიდან. თუ მონაცემთა მიმწოდებლის ორგანიზაციის ტიპი არ არის ჩამოთვლილი, აირჩიეთ ოფცია „სხვა“.
ვებგვერდი*	ორგანიზაციის ვებგვერდის URL
საკონტაქტო პირი	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი.
საკონტაქტო ელ-ფოსტა*	მონაცემთა მიმწოდებლის ელ.ფოსტა, რომელიც დაემატება AGRIS-ის განაწილების სიას. ამგვარად მონაცემთა მიმწოდებელი მიიღებს ინფორმაციას AGRIS-ის გამოშვებებსა და FAO-ს მიერ მართულ უახლეს მოვლენებზე და სოფლის მეურნეობის საკითხებში დამატებითი საინფორმაციო მომსახურების შესახებ. თუ მონაცემთა მიმწოდებელს არ სურს იყოს AGRIS-ის განაწილების სიაში, ეს უნდა იყოს მითითებული ქვემოთ მოცემულ ველში „შენიშვნები“. მონაცემთა მიმწოდებლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ სტატუსზე გავლენის გარეშე ამოეწერონ AGRIS-ის განაწილების სიიდან.
მისამართი*	ორგანიზაციის საფოსტო მისამართი.
გსურთ თქვენი მონაცემები შეიტანოთ AGRIS Open Data Set-ში (AGRIS ODS)?*	AGRIS Open Data Set (ODS) წარმოადგენს ინიციატივას, რომლის მიზანია AGRIS-სთვის გადაცემული მეტამონაცემების უფასო, შეუზღუდავი გაცვლა. AGRIS-ის ODS-ის სალიცენზიო ხელშეკრულების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ თავი 4. თუ მონაცემთა მიმწოდებელს სურს შეიტანოს მონაცემები AGRIS-ის ODS-ში, მან უნდა აირჩიოს ოფცია „დიახ“. თუ მონაცემთა მიმწოდებელს არ სურს შეიტანოს მონაცემები AGRIS-ის ODS-ში, მან უნდა აირჩიოს ოფცია „არა“.
ქალაქი*	ქალაქი, სადაც განთავსებულია მონაცემთა მიმწოდებლის ორგანიზაცია.
ქვეყანა*	ქვეყანა, სადაც განთავსებულია მონაცემთა მიმწოდებლის ორგანიზაცია.
შენიშვნები	ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც შესაბამისად მიიჩნევს მონაცემთა წარმდგენი. ამ სექციაშივე მონაცემთა მიმწოდებელმა შეიძლება მიუთითოს, თუ არ სურს AGRIS ქსელის განაწილების სიაში ყოფნა.

ცხრილი 1
ინფორმაცია AGRIS-ის
მონაცემთა მიმწოდებლის
განაცხადისთვის

3.2.3. AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებლების ინსტიტუციურ ქვეპორტალზე რეგისტრაცია

თუ ორგანიზაცია უკვე AGRIS-ის მონაცემთა მიმწოდებელია და სურს დარეგისტრირდეს შესაბამის ინსტიტუციურ ქვეპორტალზე, მან უნდა შეავსოს შემდეგი დეტალები ქვემოთ მოცემული ფორმით: AGRIS-ის ID ნომერი, ორგანიზაციის სახელი და საკონტაქტო ელ. ფოსტა, იხილეთ სურათი 20.

AGRIS-ის ID ნომერი შედგება სამი სიმბოლოსგან, მაგალითად MD1, TRC, IRO და ა.შ. თუ მონაცემთა მიმწოდებელს ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი დაავიწყდა, ის შეიძლება ინახოს მონაცემთა მიმწოდებელთა სიაში². ფორმის წარდგენის შემდეგ, გაიგზავნება ელ.წერილი რეგისტრაციის დასრულების ბმულით. ინსტიტუციურ ქვეპორტალზე წვდომა უზრუნველყოფს AGRIS-ში რეგისტრირებულთა სტატისტიკის რეალურ დროში ჩვენებას და ჩანაწერების ნახვების რაოდენობას, მათ შორის ყველაზე ხშირად დათვალიერებადს. ეს სტატისტიკა ხელს უწყობს AGRIS-ის საშუალებით მონაცემთა მიმწოდებელთა ჩანაწერების ხილვადობასა და ხელმისაწვდომობაზე მონიტორინგსა და ანგარიშების შედგენას.

მონაცემთა მიმწოდებლის გაფილტრვის ოფციის გამოყენებით, შინაარსის მიმწოდებლებს შეუძლიათ დაათვალიერონ თავიანთი

მეტამონაცემების კოლექცია. იხილეთ სურათი 21. ამ საძიებო ფილტრის ამორჩევა შეიძლება AGRIS-ის მთავარი გვერდიდან, რაც მონაცემთა მიმწოდებლის ჩანაწერებზე პირდაპირი წვდომის საშუალებას იძლევა.

პირველ რიგში, საჭიროა ჩამოსაშლელი მენიუდან კონკრეტული ქვეყნის, მაგ. მოლდოვის რესპუბლიკის შერჩევა. შემდეგ, მეორე ჩამოსაშლელი მენიუდან, მონაცემთა კონკრეტული მიმწოდებელი უნდა შეირჩეს, მაგ. მოლდოვას სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შემდეგ მომხმარებელმა უნდა დააწკაპუნოს ღილაკზე დათვალიერება, იხილეთ სურათი 22.

მომხმარებელი გადამისამართებულია მონაცემთა მიმწოდებლის გვერდზე, რომელსაც აქვს მუდმივი URL, მაგალითად:

<https://agris.fao.org/agris-search/searchIndex.do?dataProvider=MD1>

ამ ახალ გვერდზე მომხმარებლებს და შინაარსის მიმწოდებლებს შესაძლებლობა აქვთ დახვეწონ ძიება მრავალი ფილტრის გამოყენებით, მათ შორის, გამოქვეყნების თარიღით და ჩანაწერების შერჩევით დოკუმენტების სრული ტექსტის ბმულებით. ამავდროულად, ძიების შედეგების დახვეწის მიზნით, მომხმარებელს შეუძლია კონკრეტული ველების მოთხოვნის ოფციების შერჩევა, როგორცაა: დოკუმენტის სათაური, ავტორები, ჟურნალის სათაური, AGROVOC ტერმინები, ISSN, ISBN და ა.შ.

The AGRIS Team

Start

Complete

AGRIS ID (ARN - 3 characters, e.g. LVo or RUZ) *

If you don't remember your AGRIS ID, please [check here](#)

Your organization *


e-mail *

SUBMIT


სურათი 20

AGRIS მონაცემთა მიმწოდებლის შესაბამისი ინსტიტუციური ქვეპორტალის განაცხადის ფორმა

2 http://aims.fao.org/find_agris_id



სურათი 21
ფილტრის ადგილმდებარეობა მონაცემთა
მიმწოდებლების მიხედვით AGRIS-ის
მთავარ გვერდზე



სურათი 22
AGRIS-ის ძიების შედეგები მონაცემების
მიმწოდებლის ნახვის ფუნქციის
გამოყენებით

3.3 რესურსების შერჩევის კრიტერიუმები AGRIS-ში

AGRIS-ის ინფორმაციის მომზადების პროცესი მოითხოვს სრულყოფილ ანალიზს, ობიექტურ შეფასებას და ინფორმაციის მკაცრ შერჩევას AGRIS-ის მოთხოვნების შესაბამისად.

AGRIS-ისთვის წარსადგენი ინფორმაციის ზოგადი კრიტერიუმებია:

- სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათი;
- ხელმისაწვდომობა;
- მომხმარებელთა ფართო საზოგადოების, და
- არა მხოლოდ ადგილობრივი საზოგადოების, არამედ საერთაშორისო აუდიტორიის ინტერესის გამოწვევა.

3.3.1. დასაშვები სფეროები

AGRIS-ი იღებს ჩანაწერებს FAO-ს ნებისმიერ ინტერესთა სფეროსთან დაკავშირებით, როგორცაა სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, მეცხოველეობა, თევზჭერა და აკვაკულტურა, მეტყევეობა, სურსათის უსაფრთხოება, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარია, გარემოს დაცვა და ა.შ.

3.3.2. დასაშვები დოკუმენტების კატეგორიები

მონაცემთა მიმწოდებლებს შეუძლიათ წარადგინონ ჩანაწერები, სადაც აღწერილია ისეთი დოკუმენტები, როგორცაა ჟურნალის სტატიები, მონოგრაფიები, საკონფერენციო მასალები, წიგნების თავები, სამეცნიერო და ტექნიკური პროექტები, ტექნიკური ანგარიშები, დისერტაციები, ბიბლიოგრაფია, მულტიმედიური მასალები და მონაცემთა ნაკრებები.

3.3.3. შეუსაბამო დოკუმენტების კატეგორიები

AGRIS-სთვის შეუფერებელი დოკუმენტები შემდეგია:

- ეფემერული მასალები (მოკლევადიანი ინფორმაცია);
- შეზღუდული წვდომის ან კონფიდენციალური მასალები;

- ახალი ამბები ადგილობრივი მოვლენების შესახებ (ინტერვიუები, განცხადებები, ზარები და ა.შ.);
- მოკლევადიანი კანონმდებლობა ადგილობრივი სუბიექტების შესახებ (დადგენილებები, გადაწყვეტილებები თანამდებობის პირების დანიშვნის შესახებ, თანამდებობის პირების დაჯილდოება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების დებულებები და ა.შ.);
- პრესელიზები გამოფენებიდან;
- უწყებათშორისი შეთანხმებები;
- წიგნების მიმოხილვები;
- სასკოლო განათლების სახელმძღვანელოები;
- სარეკლამო სტატიები სოფლის მეურნეობის აღჭურვილობისა და სახარჯო მასალების გაყიდვების ხელშეწყობის შესახებ;
- სასიგნალო საკონფერენციო მასალები (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის მასალების გამოქვეყნება სავარაუდოდ ექვს თვეში იგეგმება);
- ჟურნალის სტატიების სასიგნალო ანაბეჭდები.

3.3.4. ჟურნალების შერჩევის სპეციფიკური კრიტერიუმები

ყველა ჟურნალი არ მიიღება AGRIS-ში განსათავსებლად. განსათავსებლად ჟურნალი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ჰქონდეს ISSN იდენტიფიკატორი;
- რეგულარულად ქვეყნდებოდეს;
- იყენებდეს რეცენზირების პროცედურას;
- სტატიის სათაური ორიგინალის ენაზე უნდა იყოს მითითებული (რეკომენდებულია ასევე ინგლისურ ენაზე) და ყველა ავტორის სახელი და გვარი;
- დაცული უნდა იყოს სამეცნიერო სტატიის სტრუქტურა შემდეგი სავალდებულო ელემენტებით: რეზიუმე, საკვანძო სიტყვები, შესავალი, მასალები და მეთოდები, შედეგები და დისკუსიები, დასკვნები და ბიბლიოგრაფიული ცნობები;
- ჰქონდეს ვებსაიტი ან ვებგვერდი.

3.4 მეტამონაცემების წარდგენა AGRIS-ში

მეტამონაცემები უნდა იყოს დაწერილი იმავე ენაზე, რომელიც გამოყენებულია იმ დოკუმენტში, რომელსაც აღწერს. ყველა ენა მისასაღებელია. გარდა ამისა, ინფორმაციის ხილვადობის გასაუმჯობესებლად, ინტერნეტიდან რესურსების უფრო ზუსტი ძიების განსახორციელებლად, რეკომენდებულია სათაურების, საკვანძო სიტყვებისა და რეფერატების ინგლისურ ენაზე მიწოდება.

3.4.1. მეტამონაცემების მინიმალური მოთხოვნები

AGRIS-ის მეტამონაცემების მინიმალური მოთხოვნები მითითებულია მნიშვნელოვან ბიბლიოგრაფიულ მეტამონაცემებში (M2B), როგორც LOD-BD რეკომენდაციების ნაწილი 3.0. M2B არის რეკომენდაციების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს, დაეხმაროს მონაცემთა მიმწოდებლებს მეტამონაცემების შესაბამისი თვისებების შერჩევაში, ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის შექმნის, მართვისა და გაცვლისთვის. მისი მიზნებია:

- მეტამონაცემების საერთო თვისებების ერთობლიობის უზრუნველყოფა;
- ავტორიტეტული მონაცემების, კონტროლირებადი ლექსიკონებისა და სინტაქსური კოდირების სტანდარტების გამოყენების წახალისება;
- რეკომენდაცია გაუწიოს ერთიანი რესურსების იდენტიფიკატორების (URI) გამოყენებას საგნების დასახელებაში, განსაკუთრებით მონაცემთა მნიშვნელობებისთვის, მათი არსებობის შემთხვევაში.

მეტამონაცემების თვისებების მნიშვნელობის ხაზგასასმელად ორი სპეციალური სტილი გამოიყენება, იხილეთ ცხრილი 2.

- ორი პლუს ნიშანი „++“ (**წითლად**) სავალდებულო თვისებისთვის
- პლუს ნიშანი „+“ (**ლურჯად**) ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის გაცვლის კონტექსტის გრაფაში რეკომენდებული თვისებისთვის.

მეტამონაცემების დანარჩენი თვისებები რეკომენდირებული ან არასავალდებულოა.

3.4.2. მონაცემთა ექსპორტი და შეგროვება

მონაცემთა მიმწოდებლები მეტამონაცემებს

ამუშავებენ სხვადასხვა მეთოდებისა და სისტემების გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში, AGRIS-ს შეუძლია გამოიყენოს OAI-PMH (მეტამონაცემების შეგროვების ღია არქივების ინიციატივის პროტოკოლი) ჩანაწერების მეტამონაცემების მოსაპოვებლად და მათი გაერთიანებისთვის. OAI-PMH უზრუნველყოფს მონაცემთა მიმწოდებლებს ურთიერთქმედების ჩარჩოთი, რომელიც დაფუძნებულია მეტამონაცემების შეგროვებასა და მარტივ ტექნიკურ ალტერნატივაზე, რათა მეტამონაცემები ხელმისაწვდომი გახდეს HTTP (ჰიპერტექსტის გადაცემის პროტოკოლი) და XML (მარკირების გაფართოებული ენა) დაფუძნებული სერვისებისთვის.

თუ ორგანიზაციას სურს წარადგინოს AGRIS-ში ინსტიტუციური საცავის ჩანაწერები, მან უნდა გამოიყენოს OAI-PMH, როგორც საშუალება მეტამონაცემების გამოსავლენად. თუ ჟურნალი იყენებს ღია წვდომის სისტემის პლატფორმას (OJS), შესაძლებელია მონაცემთა ექსპორტი პირდაპირ AGRIS-ში სხვადასხვა სტანდარტულ ფორმატში.

თუ მონაცემთა მიმწოდებელს აქვს რესურსების კრებული მეტამონაცემების გარეშე, მომხმარებელს შეუძლია შექმნას XML მეტამონაცემები საცნობარო მონაცემების მართვის ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორცაა Mendeley ან Zotero და წარუდგინოს ის AGRIS-ს ელ.ფოსტით. AGRIS მხარს უჭერს და ამტკიცებს XML მეტამონაცემების სხვადასხვა ფორმატებს.

ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმატებია: DOAJ, Crossref, MARCXML, MODS, Simple DC. მონაცემთა მიმწოდებლისთვის რეკომენდებულია, წარადგინოს შერჩეული მონაცემები ერთიან XML ფაილის სახით. თუ ის 1 ან 2 MB მეტია მოცულობაში, მაშინ ის გადაყვანილი უნდა იქნეს ერთიან zip ან rar ფაილში.

ყოველთვიურად, AGRIS-ში ქვეყნდება მონაცემთა მიმწოდებლების მიერ გაგზავნილი უახლესი მეტამონაცემები. იმისათვის, რომ XML ფაილების ინდექსირება დროულად განხორციელდეს, რეკომენდებულია მონაცემების წარდგენა თვის 15 რიცხვამდე.

AGRIS-სთვის მონაცემების გასაგზავნად გირჩევთ გამოიყენოთ agris@fao.org.

ელემენტების ჯგუფი	თვისებები	ელემენტების დეტალიზაცია
ინფორმაციის დასახელება	სათაური ++ ალტერნატიული სათაური	სათაური არის რესურსის დასახელება და წარმოადგენს წვდომის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და შესაფერის საშუალებას ნებისმიერი რესურსისთვის. ინფორმაცია, როგორც წესი, მოცემულია მრავალი მახასიათებლით სათაურის, ალტერნატიული სათაურის, ქვესათაურების, პარალელური სათაურების, ნათარგმნი სათაურების, ტრანსლიტერირებული სათაურების ჩათვლით.
პასუხისმგებლობის განცხადება	შემქმნელი წვლილის შემტანი რედაქტორი/ ტომი +	ეს ჯგუფი შეიცავს მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერ სუბიექტთან, რომელიც პასუხისმგებელია რესურსის შინაარსის შექმნაზე და/ან გამოქვეყნებაზე, მაგალითად, რესურსის შემქმნელზე, წვლილის შემტანზე, გამომცემლობაზე ან გამომცემზე.
ფიზიკური აღწერა	თარიღი ++ იდენტიფიკატორი + ენა ++ ფორმატი / გარემო + გამოცემა / ვერსია წყარო +	ეს მახასიათებლები აღწერს რესურსის ფიზიკური ფორმის ასპექტებს და თვისებებს: თარიღი - კალენდარული თარიღი, რომელიც დაკავშირებულია რესურსის სასიცოცხლო ციკლთან. რესურსი შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე თარიღი - შექმნის, რედაქტირების, შეცვლის, გადახედვის, ქსელში საინფორმაციო რესურსის გამოქვეყნების თარიღი და ა.შ. იდენტიფიკატორი - ნომერი ან თანმიმდევრობა, რომელიც საინფორმაციო რესურსის უნიკალური იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა ოფიციალური საიდენტიფიკაციო სისტემის (DOI, ISSN, ISBN და ა.შ.) შესაბამისად. ენა - საინფორმაციო რესურსის ციფრული შინაარსის ენა. ფორმატი / გარემო - ფაილის ფორმატი, ფიზიკური გარემო ან რესურსის მოცულობა. გამოცემა / ვერსია - რესურსის გამოცემის ან ვერსიის აღწერისას, ასევე აღწერილი უნდა იყოს რესურსსა და მასთან დაკავშირებულ ვერსიასა თუ ვერსიებს შორის ურთიერთობა. წყარო - დაკავშირებული რესურსი, საიდანაც აღწერილი რესურსი მოდის. წყარო შეიძლება შედგებოდეს ელემენტების კომბინაციისგან, მაგალითად, ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, ოფიციალურ საიდენტიფიკაციო სისტემასთან (ISBN, ISSN, URL) ერთად. აღწერილი რესურსი შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამომდინარეობდეს დაკავშირებული რესურსიდან.
ადგილმდებარეობა (ფიზიკური ადგილმდებარეობა)	ადგილმდებარეობა +	ეს ელემენტი ასახავს ინფორმაციული რესურსების ადგილმდებარეობისა და ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციას, რადგან საკმაოდ მნიშვნელოვანია რესურსის განთავსება და მიღება ინფორმაციის გაცვლის პროცესში.
საგანი	საგნის ტერმინი + კლასიფიკაცია საკვანძო სიტყვა + გეოგრაფიული ტერმინი	საგნობრივი ჯგუფი შეიცავს თვისებებს, რომლებიც აღწერს ან გვხმარება აღმოვაჩინოთ რა არის ან რას აღნიშნავს რესურსი, საგნის სათაურის, კლასიფიკაციის / კატეგორიის, საკვანძო სიტყვების და გეოგრაფიული ტერმინის სახით. რესურსების შინაარსის საგნის დასადგენად საუკეთესო რეკომენდებული პრაქტიკა მოიცავს კონტროლირებადი ლექსიკონის ან ფორმალური კლასიფიკაციის სქემიდან მნიშვნელობის არჩევას. AGRIS-ის მონაცემთა ბაზის შემთხვევაში, სასურველია მრავალენოვანი თეზაურუსის AGROVOC-ს გამოყენება. მისასაღმებელია კონტროლირებადი ლექსიკონების და ფორმალური კლასიფიკაციის სქემების გამოყენება. უფრო და უფრო მეტი მნიშვნელოვანი ფაილები, კონტროლირებადი ლექსიკონები და რესურსების მონაცემთა ნაკრებები ხელმისაწვდომი ხდება როგორც ურთიერთდაკავშირებული ღია მონაცემები (Linked Open Data LOD).
შინაარსის აღწერა	აღწერა / რეზიუმე + ტიპი / ფორმა / კატეგორია	აღნიშნულ ჯგუფში განიხილება აღწერილობის ორი ძირითადი ტიპი, რომლებიც ფოკუსირებულია რესურსის შინაარსზე და არა ფიზიკურ ობიექტზე: ა) შინაარსის ნებისმიერი აღწერა; ბ) რესურსის ტიპი ან კატეგორია. აღწერილობა შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: რეზიუმე, შინაარსის ცხრილი, შენიშვნა, გრაფიკული გამოსახულება ან რესურსების თავისუფალი ტექსტი. ტიპი ასახავს ინფორმაციას რესურსის შინაარსის ბუნების ან კატეგორიის შესახებ. ტიპი მოიცავს ტერმინებს, რომლებიც აღწერს ზოგად კატეგორიებს, ფუნქციებს, ტიპებს ან შინაარსის აგრეგირების დონეებს. ფორმატის ელემენტი გამოიყენება ფაილის ფორმატის, რესურსის მოცულობის, რესურსის ფიზიკური ან ციფრული მედიის აღსაწერად.


ელემენტების ჯგუფი	თვისებები	ელემენტების დეტალიზაცია
ინტელექტუალური საკუთრება	უფლებები +	უფლებათა პუნქტში აღირიცხება ინფორმაცია რესურსის გამოყენების და მართვის უფლებების შესახებ. ეს ჩვეულებრივ შეიცავს განცხადებას რესურსების მართვის შესახებ ან ბმულს იმ სერვისის შესახებ, საიდანაც შეიძლება ამ ინფორმაციის მიღება. უფლებების დეკლარაციებში ხშირად შედის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, საავტორო და საკუთრების სხვა უფლებები. ამ ჯგუფში შედის ნებისმიერი ქონება, რომელიც ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ასპექტს და დაკავშირებულია წვდომისა და გამოყენების პირობებთან. უფლებების პუნქტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ტექსტური განცხადებისთვის, ასევე URL-ისთვის, (უფლებების შესახებ). შენიშვნა: უფლებების ელემენტის არარსებობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ნებისმიერ ჰიპოთეზას ან დასკვნას რესურსის გამოყენების და მართვის უფლებებთან დაკავშირებით.
გამოყენება	მომხმარებელი ლიტერატურული მითითება	ამ ჯგუფში გაერთიანებულია მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია რესურსის გამოყენებასთან. მომხმარებელი წარმოადგენს იმ ჯგუფს, რომლისთვისაც განკუთვნილი ან სასარგებლოა რესურსი. ეს ჯგუფი შეიძლება განისაზღვროს რესურსის შემქმნელის, გამომცემლის ან მესამე მხარის მიერ. საზოგადოებრივი განათლების დონე - გულისხმობს მომხმარებელთა ჯგუფს, რომელიც განისაზღვრება საგანმანათლებლო ან სასწავლო კონტექსტში პროგრესის თვალსაზრისით, ვისთვისაც განკუთვნილია აღწერილი რესურსი.

ცხრილი 2
AGRIS მეტამონაცემების
მინიმალური მოთხოვნები

3.5 AGRIS-ში მონაცემთა დამუშავების ნაკადი

მონაცემთა დამუშავების ნაკადი AGRIS-ში მონაცემთა ინტეგრაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რაც მოიცავს ჩანაწერების შეგროვებას, გადაცემას, ტესტირებას, გარდაქმნას და ატვირთვას. მას მოსდევს მეტამონაცემების დადასტურება და ასახვა. ხოლო მონაცემთა კორექტირება მოიცავს მონაცემების დადგენას, სემანტიკური შეცდომების და არასრული, არასწორი, მონაცემთა დუბლირებული,

არაზუსტი ან შეუსაბამო ჩანაწერების ჩანაცვლებას ან ამოღებას. მონაცემთა მიმოწოდებლებს შეუძლიათ სხვადასხვა სტანდარტის მონაცემების წარდგენა, რომლებიც გადაკეთდება AGRIS AP-ად (AGRIS-ის განაცხადის პროფილში), AGRIS-ის მიერ გამოყენებულ შიდა ფორმატში. გამოქვეყნებამდე მონაცემები გარდაიქმნება RDF-ად (რესურსების აღწერის ჩარჩო) და ვრცელდება AGRIS-ის ვებპორტალიდან.



4. AGRIS-ის მონაცემების ხელახალი გამოყენება სხვა საინფორმაციო სისტემებში

AGRIS-ის დამატებითი ფუნქციაა AGRIS Open Data Set (ODS)-ის ჩამოტვირთვა. ეს არის AGRIS-ის ჩანაწერების ნაკრები, რომლის მრავალჯერადი გამოყენება და გავრცელება თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს.

AGRIS ODS-ი შეიქმნა AGRIS-ის მონაცემთა მრავალი მიმწოდებლის წყალობით, რომლებიც შეთანხმდნენ, რომ თავიანთი მეტამონაცემები ჩართონ გადმოსაწერად შესაფერის ფორმატში ბიბლიოთეკებისათვის საკუთარ საინფორმაციო სისტემებში ინტეგრირების მიზნით.

რატომ უნდა განიხილოს ორგანიზაციამ AGRIS ODS-ის ჩამოტვირთვა?

AGRIS ODS-ი ზრდის მონაცემთა ხილვადობას და ასევე იძლევა მონაცემთა გამდიდრების შესაძლებლობას. ბიბლიოთეკის მომხმარებლები და ინფორმაციის მაძიებლები სულ უფრო ხშირად ელიან ერთსაფეხურიან პროცესს, ან საძიებო სისტემის გამოყენებას, როგორცაა Google, ან ბიბლიოთეკის საძიებო ინსტრუმენტს, რომელიც აერთიანებს მის კატალოგს სხვა რესურსებთან. ამ განვითარებადი ინფორმაციის სამყაროს საპასუხოდ, AGRIS ODS-ი გთავაზობთ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს პირდაპირ ბიბლიოთეკის სისტემებში. არსებული ფორმატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამულ აპლიკაციაში. ღია მონაცემების უპირატესობა, განსაკუთრებით AGRIS ODS-ის, მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის საქმიანობის ანალიზი და, შესაბამისად, დაეხმაროს სოფლის მეურნეობას ინვესტიციების, ინოვაციებისა და პოლიტიკის შესახებ ინფორმირებაში, დარგის მდგრადობის

ზრდაში ცვლილებების შეტანის მიზნით ან შესატანად.

AGRIS ODS-ი ხელმისაწვდომია ღია ლიცენზიით, CC-BY IGO 3.0. AGRIS ODS შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ როგორც zip ფაილი, მისამართზე https://agris.fao.org/agris_ods/. ის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის AGRIS AP და RDF ფორმატებში. ჩამოტვირთვის შემდეგ, შესაძლებელია ფაილების გაფილტვრა ორგანიზაციებისა და მათი საინფორმაციო სისტემების უკეთესად მომსახურების მიზნით.

შენიშვნა: AGRIS მონაცემთა ინდივიდუალური პროვაიდერები არ არიან ვალდებული გააზიარონ თავიანთი მეტამონაცემები. AGRIS Open Data Set (ODS) ინიციატივაში გაწევრიანება სავალდებულო არ არის; მონაცემთა მიმწოდებელს შეუძლია მოითხოვოს მისი ფაილების ამოღება-წაშლა ნებისმიერ დროს.

„AGRIS-ში მონაწილეობას ბევრი სარგებელი მოაქვს. პირველ რიგში ეს საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობაა. AGRIS-ში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მონაწილეობა ეხმარება მოლდოვაში გამოშვებული სასოფლო სამეურნეო კონტენტის გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ცნობადობის და წვდომის გაზრდას. ასევე ხელს უწყობს აგრარული სამეცნიერო ინფორმაციისა და მონაცემთა გაცვლას და უზრუნველყოფს საიმედო მომსახურებას AGRIS-ის მომხმარებელთათვის.”

ვიორიკა ლუპუ, მოლდოვის აგრარული უნივერსიტეტი
(მოლდოვის რესპუბლიკა)

5. დამატებითი რესურსები AGRIS-ის შესახებ

FAO. 2020. *AGRIS Webinar: What is AGRIS Today* [video]. Rome, Italy. <http://aims.fao.org/capacity-development/webinars/agris-webinar-what-agris-today>

FAO. 2020. *AGRIS Webinar: The role of AGRIS-Moldova Center in the dissemination of agricultural information in the context of Open Access* [video]. <http://aims.fao.org/capacity-development/webinars/agris-webinar-role-agris-moldova-center-dissemination-agricultural>

FAO. 2020. *AGRIS Webinar: The role of AGRIS in Scholarly Communication Landscape* [video]. <http://aims.fao.org/capacity-development/webinars/agris-webinar-role-agris-scholarly-communication-landscape>

FAO. 2020. *AGRIS Webinar: Data provider dashboards – a new service to monitor and access statistics of data providers records* [video]. <http://aims.fao.org/capacity-development/webinars/agris-webinar-data-provider-dashboards-new-service-monitor-and-access>

FAO. 2020. *AGRIS Webinar: AGRIS Open Data Set (ODS) – How it works, how to use it* [video]. Rome, Italy. <http://aims.fao.org/capacity-development/webinars/agris-webinar-agris-open-data-set-ods-how-it-works-how-use-it>

საავტორო უფლებები

AGRIS-ის კონტენტი ლიცენზირებულია Creative Commons Attribution-ის საერთაშორისო ლიცენზიით (CC-BY IGO 3.0). დამატებითი დახმარების მისაღებად ან შეკითხვებით საავტორო უფლებების შესახებ დაუკავშირდით copyright@fao.org.

„ჩვენ AGRIS-ის ყველაზე დიდი მონაცემთა მიმწოდებელი ვართ რუსეთში და ეს საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენი წარმოჩენისათვის მნიშვნელოვანია.

ჩვენი ცნობადობა უწინდელთან შედარებით გაიზარდა, რაც AGRIS-თან თანამშრომლობის დამსახურებაა. როგორც მომხმარებელს, შეგვიძლია მოვიძიოთ ინფორმაცია საინტერესო უცხოურ ჟურნალებზე AGRIS-ში და განვათავსოთ ჩვენი ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში.”

ელენა კლიმოვა, სოფლის მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა
(რუსეთის ფედერაცია)

„AGRIS-ი... გვაძლევს მსოფლიო დონის საინფორმაციო მონაცემთა ბაზებზე თავისუფალი წვდომის საშუალებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში აგროინფორმაციის გაზიარებისა და გავრცელების თვალსაზრისით.

AGRIS-ი ასევე წარმოადგენს მსოფლიოსათვის ქართული აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის გავრცელების უნიკალურ პლატფორმას.”

მარინა რაზმაძე, ტექინფორმი (საქართველო)

გაერთიანებული ერების სურსათისა და
სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
Viale delle Terme di Caracalla
00153 რომი, იტალია